ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N75

(გაერთიანებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებთან)

2025 წელი; 23 მაისი; 13:30 სთ; **ქ. თბილისი**

თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
მარიამ გელაშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

1. **გიორგი ტყემალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილეობის (ვიცე-მერობის) კანდიდატი;
2. **ვლადიმერ ჭიღლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის/თავმჯდომარის – გიორგი ტყემალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი;

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ დამტკიცებული იქნა სხდომის დღის წესრიგი.

კომისიათა გაერთიანებული სხდომა გახსნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც მიესალმა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს კომისიათა წევრებს და მოწვეულ პირებს.

ნინო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა გიორგი ტყემალაძეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში გაწეული საქმიანობისთვის და წარმატებები უსურვა მას მომავალ საქმიანობაში.

მოისმინეს:

1. **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის/თავმჯდომარის - გიორგი ტყემალაძის მიერ, პირადი განცხადების საფუძველზე, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, მ/წლის 21 მაისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა **ამავე საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის - გიორგი ტყემალაძის განცხადება (N11-032514165-03)**, რომლის თანახმადაც, **აღნიშნული პირი ტოვებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობას და პირადი განცხადების საფუძველზე იხსნის მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას;** შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. წარმოდგენილი განცხადება, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, დაეწერა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ მუხლის თანახმად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება,** ხოლო ამავე ორგანული კანონის 43-ე მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის **უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების პირადი განცხადებით მოხსნა.** აღნიშნული ფაქტის შესახებ **ინფორმაციას, მუნიციპალიტეტის საკრებულო ცნობად იღებს და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით, ხოლო საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტად ითვლება შესაბამისი განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღე.**

შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, გიორგი ტყემალაძის, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტად ითვლება 2025 წლის 22 მაისი.

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ დანაწესზეც, რომელიც ადგენს** საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების მოხსნის პროცედურას. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, **საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა**

დაცვის კომისია ადგენს განცხადების ნამდვილობას, გარემოებას, რომელიც დაედო საფუძვლად განცხადებას და შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს.

გადაწყვიტეს:

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაადგინეს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2–1 დადგენილებით დამტკიცებული **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული წესი დაცულია** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **საკრებულომ ცნობად უნდა მიიღოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის – გიორგი ტყემალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.**

მოისმინეს:

2. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ინიციირების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნის შესახებ საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი წინაპირობების შესახებ და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"** 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მიხედვით, თბილისის **საკრებულოს უფლებამოსილებას,** ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება ამ კანონით დადგენილი წესით **თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა,** ხოლო ამავე ორგანული კანონის 76-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) და მოადგილეებს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობებზე ნიშნავს თბილისის მერი.**

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ნ. ვარდოსანიძე	ნინო ვარდოსანიძე
სხდომის მდივანი	ნ. დანელიშვილი	ნინო დანელიშვილი